პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

14 ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 80 (1716)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 8 კაპ.




იოლანდა ბალაში! ვის არ გაუგონია ამ შესანიშნავი რუმინელი მძლეოსანი ქალის სახელი. სურათზე თქვენ ხედავთ მას სარეკორდო სიმაღლის დაძლევის დროს და მის მიერ გაკეთებულ წარწერას — „სალამი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპორტსმენებს. 187 სმ. იოლანდა ბალაში. 29-V. 61“.

სურათი გაზეთ „ლელოში“ გამოსაქვეყნებლად ი. ბალაშმა გამოატანა საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაციას, რომელიც იმყოფებოდა ბუქარესტში საერთაშორისო საჭადრაკო მატჩის ჩასატარებლად.

საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდის გამოსვლების შესახებ რუმინეთში იხილეთ თ. გიორგაძის წერილი ჩვენი გაზეთის მეოთხე გვერდზე.

## ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება.

წლევანდელი გათამაშების მონაწილენი, როგორც ყოველთვის, დაყოფილი არიან ზონებად. ზონებში შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ გამარჯვებულები გავლენ ნახევარფინალში და საბოლოოდ გაითამაშებენ პირველობას ფინალურ ჯგუფში.

მოგვყავს ქვეჯგუფების შემადგენლობანი, სადაც მონაწილეობენ საქართველოს გუნდები:

**IX ზონა** (გათამაშება ჩატარდება გორში). „ნაირი“ (ერევანი), „ლორი“ (კიროვაკანი), „შირაქი“ (ლენინაკანი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (ბათუმი), „ტორპედო“ (არმავირი), სკა (როსტოვი).

**X ზონა** (გათამაშება ჩატარდება კუბაში, აზერბაიჯანის სსრ). „ტემპი“ (სუმგაითი), „ტექსტილშჩიკი“ (კიროვაბადი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ვოლგარი“ (ასტრახანი), „დინამო“ (მახაჩყალა), „დინამო“ (თბილისი).

**XII ზონა** (გათამაშება ჩატარდება ქ. კამენსკში, როსტოვის ოლქი). „შახტიორი“ (შახტი), „რიწა“ (სოხუმი), „როსტსელმაში“ (როსტოვი), „შრ. რეზერვები“ (ლუგანსკი), „სპარტაკი“ (კრასნოდარი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „ტორპედო“ (მოსკოვი).

**XV ზონა** (გათამაშება ჩატარდება ქ. შოსტკაში, სუმის ოლქი). „ავანგარდი“ (სუმი), სკა (კიევი), „კოლგოსპნიკი“ (პოლტავა), „ტორპედო“ (ხარკოვი), „დესნა“ (ჩერნიგოვი), „ავანგარდი“ (ჟელტოვოდი), ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

IX-XII ზონებში გამარჯვებული გუნდებისათვის ნახევარფინალური ტურნირი გათამაშდება ქ. დერბენტში (დაღესტნის ასსრ), ხოლო XIII-XVI ზონებში გამარჯვებულთათვის — ქ. კრასნოდონში (ლუგანსკის ოლქი) 21-26 ივლისს.

ფინალური გათამაშება მოეწყობა ქ. კრემენჩუგში (უკრაინის სსრ) 18-28 აგვისტოს.

## საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

### რუმინეთი

რუმინეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატზე, რომელშიც ევროპის უძლიერესი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა—ი. რიაზანოვამ.

ნიჭიერმა სპორტსმენმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილისათვის ბრძოლაში შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს ე. იოჰანესს.

გერმანელმა ჩოგბურთელმა შეძლო პირველი პარტიის მოგება — 6:3, მაგრამ თბილისელმა სპორტსმენმა მომდევნო პარტიები მოიგო (6:3, 6:2) და რუმინეთის 1961 წლის ჩემპიონობაც მოიპოვა.

### შვეიცარია

ციურიხში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და ევროპის ცნობილი 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველი ადგილი ტურნირში დაიკავა საბჭოთა გროსმაისტერმა პ. კერესმა, რომელმაც 9 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს გროსმაისტერ ტ. პეტროსიანს, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს.

### ბულგარეთი

ყოველ წელს ტარდება „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდების ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა და დემოკრატიული ქვეყნების სპორტსმენთა კოლექტივები. ამ შეჯიბრებაში რეგულარულად მონაწილეობს თბილისის „დინამო“, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირს ზემოაღნიშნულ ტურნირში.

წლევანდელი შეჯიბრება ტარდება ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. მისი დაწყება განზრახულია 16 ივნისს. გუშინ თბილისის დინამოელები გაფრინდნენ სოფიაში. გუნდის შემადგენლობაში არიან: სპორტის ოსტატები გ. მინაშვილი, ლ. ინწკირველი, ვ. უგრეხელიძე, ა. ლეჟავა, ა. კილაძე და სხვ. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია.



რსფსრ-სა და შვეციის წყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე შვედმა გ. ლუნდქვისტმა ვაჟთა შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

**სურათზე:** გ. ლუნდქვისტი ასრულებს ხტომას.

ფოტო ვ. ტუტოვისა

## საპატიო წოდებათა შესახებ

**საკავშირო სპორტკავშირში**

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ მიიღო დადგენილება „საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის“, „საბჭოთა კავშირის დამსახურებული ოსტატის“ წოდებათა მინიჭებისა და „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების დებულების დამტკიცების შესახებ.

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება წარმოადგენს საპატიოს და ენიჭებათ მწვრთნელებს მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობის, სწავლებისა და წვრთნის მოწინავე მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის, რაც უზრუნველყოფს: ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა ფიზკულტურის კოლექტივების სექციებში აღზრდილი ახალგაზრდების რიცხვიდან სპორტის ოსტატებისა და საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულთა სისტემატურ მომზადებას, პირად ან გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების მომზადებას, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების მომზადებას, აგრეთვე ისეთი სპორტსმენების მომზადებას, რომლებიც რეგულარულად შედიან საკავშირო ნაკრებში.

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭებათ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ სპორტულ მაჩვენებლებს და აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

ამ წოდების მისანიჭებლად შეიძლება წარდგენილ იქნან იმ სპორტის ოსტატთა კანდიდატურები, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვებანი ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და მრავალგზის საკავშირო პირველობებზე, ამასთან იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში, თავიანთ გამოცდილებას გადასცემდეს ახალგაზრდა სპორტსმენებს, გამოირჩეოდეს ყოფაქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში — შრომაში, სწავლასა და სპორტში.

„საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელისა“ და „საბჭოთა კავშირის დამსახურებული ოსტატის“ წოდებებს ანიჭებს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის 1946 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული დებულება და მიიღო ახალი დებულება. „ფიზკულტურის წარჩინებულის“ ნიშანი შემოღებულია იმ ფიზკულტურული მუშაკების, მასწავლებლების, მწვრთნელებისა და საზოგადოებრივი აქტივის წასახალისებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში. ამ ნიშნით ჯილდოვდებიან აგრეთვე კომკავშირული, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკები და სხვ.



დამთავრდა თბილისის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

**სურათზე:** საშუალო წონის მოჭიდავეების ნ. ქვირიასა (ზემოდან) და გ. პაპაშვილის შეხვედრა.

ფოტო უ. მოსესოვისა

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

**II ქვეჯგუფი**

მდგომარეობა 14 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 11 | 7 | 2 | 2 | 23:10 | 16 |
| ცსკა | 11 | 7 | 2 | 2 | 28:16 | 16 |
| „სპარტაკი“ მ. | 10 | 5 | 3 | 2 | 19:9 | 13 |
| „პახტაკორი“ ტ. | 10 | 5 | 3 | 2 | 20:19 | 13 |
| „დინამო“ მ. | 11 | 4 | 3 | 4 | 17:17 | 11 |
| „სპარტაკი“ ერ. | 11 | 3 | 5 | 3 | 17:18 | 11 |
| „ზენიტი“ ლ. | 11 | 3 | 4 | 4 | 15:20 | 10 |
| „მოლდოვა“ კიშ. | 11 | 3 | 3 | 5 | 21:20 | 9 |
| „კაირატი“ ა-ტა | 10 | 3 | 3 | 4 | 12:18 | 9 |
| „ბელარუსი“ მნ. | 11 | 2 | 2 | 7 | 11:19 | 6 |
| „კალევი“ ტალ. | 11 | 0 | 4 | 7 | 9:26 | 4 |

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და კიევის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქისა და ერევნის სპარტაკელთა გუნდები. მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 1:0.





დიდი სოფელია ანაკლია, მისი მერძევეობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობაც დიდი მეურნეობაა: თვალმიუწვდენია პლანტაციები, სიმინდის ყანები... ვითარდება მეცხოველეობა — მოდის ყველი, კარაქი, რძე და ვინ მოთვლის რამდენი დოვლათი. ანაკლიაში შრომაც კარგი იციან და დასვენებაც... ანაკლიელთა მიღწევებზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად სიტყვა თვით ანაკლიელებს მივცეთ:

△

სურათებზე: მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის „ტალღას" ვარჯიშია თუ სხვა რომელიმე გუნდთან შეჯიბრება (ზემოთ), ყოველთვის ესწრება ხოლმე გულშემატკივარი მაყურებელი — პატარა თუ დიდი. ხედავთ, ამ მოხუცსაც არ დასდგომია სახლში გული და თავისი სოფლის ფეხბურთელთა ვარჯიშს (ქვემოთ) შეჰყურებს.

△





## სევერიან ეგრალიძე

### საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

— ჩვენი საბჭოთა მეურნეობა მრავალდარგოვანია. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XXII ყრილობას. საბჭოთა მეურნეობის სანახები 3200 ჰექტარზე — მდინარე ენგურის სანაპიროებიდან ყულევამდეა გადაჭიმული. ჩვენს მეურნეობაში 525 მუშა-მოსამსახურე მუშაობს. მათ მრავალი წარმატება აქვთ. აი, ზოგიერთი მათგანი: 1961 წლის 1 კვარტალის გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაგვებარებინა 730 ცენტნერი რძე, ფაქტიურად კი 1.140 ცენტნერი ჩავაბარეთ. საერთოდ რძის წარმოება ამ ეტაპზე 78.000 კილოგრამით გავზარდეთ. ასეთივე მიღწევები გვაქვს ხორცის წარმოების გაზრდის საქმეშიც. გეგმა 280 ცენტნერ ხორცის დამზადებას ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენი მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ბეჯითი შრომის შედეგად გეგმას გადავაჭარბეთ და სახელმწიფოს 330



ცენტნერი ჩავაბარეთ. მოზარდეულის სადღეღამისო მატების გეგმა გასულ წელს ჩვენთან 450 გრამს უდრიდა, მაგრამ ჩვენმა მეცხოველეებმა მიაღწიეს იმას, რომ მოზარდეულის სადღეღამისო მატება 567 გრამამდე აიყვანეს. ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს რძის წარმოებისა და ხორცის წარმოების გადიდებაში მე-2 მეკამეჩეობის ბრიგადას, რომელსაც კარლო კოდუა ხელმძღვანელობს. გასულ წელს აქ თვითეულ კამეჩზე 1700 ლიტრი რძე მიიღეს. წელს ბრიგადამ ვალდებულება იკისრა გეგმის ზევით ჩამოწველოს 70 ტონა რძე. კარგად მუშაობს აგრეთვე მე-4 ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელად ახლახან დავაწინაურეთ ჩვენი ფეხბურთელთა გუნდის — „ტალღას" კაპიტანი ანზორ გვასალია. საერთოდ, საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი მთელი ჩვენი მეურნეობის მუშაკთა შორის მოწინავეთა რიგებშია. ახალგაზრდები შრომის რომელ უბანზეც არ უნდა იყვნენ, ყველა დავალებას დიდი გულისხმიერებითა და მონდომებით ასრულებენ. მაგალითად, ვაჟა გვასალია საუკეთესო სპორტსმენია და ყოველდღიური გამომუშავების ნორმებსაც 150-170 პროცენტით ასრულებს. მას არ ჩამორჩება მოწინავე სპორტსმენი ბ. შენგელია, იგი მე-3 აგრობრიგადის გული და სულია...

ჩვენმა ფეხბურთელებმა არა ერთხელ ასახელეს თავისი მშობლიური სოფელი. რაიონის პირველობაზე გარდამავალი თასიც მოიპოვეს. ახალგაზრდები ოსტატდებიან ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში... მართალია, სპორტულ მუშაობაში კარგი შედეგები გვაქვს, მაგრამ გვაქვს ნაკლოვანებებიც. ასე მაგალითად, ჩვენთან საწყლოსნო სპორტის განვითარების დიდი პირობებია, მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით ამ საქმეს თავი ვერ მოვაბით. ახლო მომავალში ჩამოვაყალიბებთ კრივის, ჭიდაობისა და ცურვის სექციებს.

ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის მთელ კოლექტივს ერთი დიდი ამოცანა აქვს დასახული: ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ სკკპ XXII ყრილობას!

○

## ანზორ გრიგოლაია

### პარტიული ორგანიზაციის მდივანი

— სამი წელია, რაც სპორტულმა მაჯისცემამ მეურნეობაში მკვიდრი ნიადაგი ჰპოვა. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავს იმისათვის, რომ სპორტულ მუშაობას მეურნეობის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავოს. შედეგიც არის. ფიზკულტურელები წარმატებით გამოდიან რაიონის სხვადასხვა შეჯიბრებაზე და საპრიზო ადგილებს იკავებენ, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები მოგვეწყო. ამიტომ ვარჯიში საშუალო სკოლების მოედნებზე მიმდინარეობს. ფიზკულტურული კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები ჩვენი კომკავშირელები და ახალგაზრდობაა, რომლებიც შესანიშნავად ათავსებენ სპორტს სამეურნეო ცხოვრებასთან. კარგი სპორტსმენი კარგი სამეურნეო მუშაკიცაა. სწორედ ეს განაპირობებს ჩვენს მეურნეობაში სპორტის საპატიო ადგილსა და მხარდაჭერას. ჩვენი კოლექტივი შრომითი მიღწევებთან ერთად სპორტულ საქმიანობაშიც მიღწევებით შეხვდება სკკპ XXII ყრილობას.

## ნოდარ ჩარტია

### კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი

— მეურნეობაში ორასამდე ახალგაზრდა მუშაობს. აქედან ნახევარი ლენინური კომკავშირის წევრია. ჩვენი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდობა მოვიზიდოთ მჩქეფარე სპორტულ ცხოვრებაში. ამ მიზნით ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ საერთო კრებებსა და კომიტეტის სხდომებზე. გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ერთი შრომითი ბრიგადა გადავახალისოთ და შევქმნათ ფიზკულტურული ბრიგადა, რომელიც შრომის ფერხულში ჩაებმევა და მტკიცედ დაიკავებს ადგილს მოწინავეთა რიგებში.



## ჩვენი ვალდებულებანი

აქტიური დასვენების კერად გადავაქცევთ სტადიონს, მოვაწყობთ მძლეოსნურ სექტორებს.

**1961 წლის ბოლოსათვის მოვამზადებთ — 1 პირველთანრიგოსანს, 5 — მეორეთანრიგოსანს და 20 მესამეთანრიგოსანს.**

ჩამოვაყალიბებთ ჭიდაობის, კრივისა და ცურვის სექციებს.

სპორტული ოსტატობის ამაღლების შედეგად მივაღწევთ იმას, რომ ფეხბურთელთა გუნდი „ტალღა" მომავალი წლიდან მონაწილეობდეს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ქვეჯგუფის გათამაშებაში.

მივაღწევთ იმას, რომ მეურნეობის ყველა ბრიგადაში საფუძვლიანად დაინერგოს საწარმოო ტანვარჯიში.

ზღვის სანაპიროზე საკუთარი ძალებით მოვაწყობთ საცურაო ბაზას, აგრეთვე ავაგებთ სახტომ კოშკს.

კიდევ ერთი საკითხი. მეურნეობაში ბევრი ახალგაზრდა საშუალო სკოლიდან და ტექნიკუმიდან მოდის. მათ ერთ ნაწილს თან სპორტული ჩვევებიც მოჰყვება. ასე მაგალითად, ჯ. დარასელია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულია, თავისი საქმის კარგი სპეციალისტია. მან ტექნიკუმში ფრენბურთელის „სპეციალობაც" მიიღო და გუნდს ხელმძღვანელობს. ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი — ქუთაისის სატყეო ტექნიკუმში მე მივიღე სპორტული ჩვევები და ჩემს გამოცდილებას ანაკლიელ ახალგაზრდებთან მუშაობაში ვიყენებ. მაგრამ სამწუხაროდ, ყველა სკოლასა და სასწავლებელში როდი ექცევა სათანადო ყურადღება ახალგაზრდობის სპორტული ჩვევებით აღჭურვის საქმეს. ჯეროვნად უნდა შევაფასოთ საზოგადოებრივი კადრები, უნარიანად გამოვიყენოთ იგი და წარმატება არ დააყოვნებს.

○

## ანზორ გვასალია

### მე-2 აგრორაიონის მე-4 ბრიგადის ბრიგადირი, ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი

— ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გაპიროვნებული აქვს 73 ჰექტარი ფართობი. აქედან 22 ჰექტარი გამოყენებული გვაქვს



კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათეს ფართობად, 10 ჰექტარი დათმობილი აქვს ჩაის. ბრიგადამ მაისის თვის ჩაის კრეფის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. ახლა ვიბრძვით კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის. ახალგაზრდობის უმრავლესობა მონაწილეობს სპორტულ მუშაობაში. ასე მაგალითად, ჩვენი ბრიგადის წევრებიდან ფეხბურთის გუნდში თამაშობენ: გ. ყორშია და მე. კალათბურთის სექციაში არიან: ვ. სალია, ხ. ხარლამპიდი, ჟ. ყუფენია, ფრენბურთის სექციაში — კ. გაბელია, კ. ქანძანაია, ჟ. დარასელია. გოგონები: ა. სორდია, ლ. შამათავა, დ. სალია და სხვები ჩაბმული არიან მძლეოსნობის სექციაში. ყველა ესენი შრომისა და სპორტის მოწინავეები არიან. სკკპ XXII ყრილობის მზადების დღეებში ჩვენი შრომითი ნაყოფიერება ერთი ორად გაიზრდება.

○

## ოთარ ჯაფარიძე

### ფიზკულტურის ინსტრუქტორი

— ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს დიდი ტრადიციები აქვს. მას განმტკიცება და გამრავლება სჭირდება. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდობა სულ ახალახალი სექციების ჩამოყალიბებას თხოულობს. ჭიდაობის სპორტის მოყვარული ჩვენთან ბევრია. ერთ ნაწილს აინტერესებს ქართული ჭიდაობა, მეორეს — თავისუფალი, მესამეს — კლასიკური. ახლა მიმდინარეობს ამ სექციების დაკომპლექტება, ინვენტარის შეძენა.

ჩვენი მთავარი მიზანია, რომ არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს სპორტული საქმიანობის გარეშე. ამიტომაა, რომ ვაწყობთ სხვადასხვა ღონისძიებას. ამ დღეებში ჩვენი ფეხბურთელები შეხვდნენ ინგირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფეხბურთელებს და მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება —5:1. გადაწყვეტილი გვაქვს მივიღოთ მონაწილეობა საუკეთესო კოლექტივების დათვალიერება-კონკურსში, რომელიც საკავშირო პროფკავშირებმა გამოაცხადა.

მეურნეობაში სპორტული ტრადიციების განმტკიცებაში დიდ დახმარებას გვიწევს მეურნეობის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო პირველობა

## ● 12 ადგილი თავისუფალია
## ● უნგრეთი, გფრ, ესპანეთი, იტალია ითამაშებენ ჩემპიონატის ფინალში
## ● ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას

ოთხი წელი თითქოს არც ისე ცოტა დროა. ბევრი რამ შეიძლება მოხდეს ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ საფეხბურთო ასპარეზზე ოთხი წელი სწრაფად გადის ხოლმე. გადის ისე სწრაფად, რომ მსოფლიოს VI ჩემპიონატი ფეხბურთში თითქოს გუშინ იყო, ისე კარგად გვახსოვს მისი პერიპეტიები, დღეს კი კარზეა მომდგარი ჟიულ რიმეს თასის VII გათამაშება.

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატმა ფაქტიურად არ იცის შესვენება. როგორც კი დამთავრდება მორიგი პირველობა, ფიფა-ს სახელზე შემოდის ახალი განაცხადები სხვადასხვა სახელმწიფოებიდან, საორგანიზაციო კომიტეტი ახდენს მათს დაყოფას ზონებად, განაწილებას ჯგუფებად და კვლავ იწყება ბრძოლა — შესარჩევი მატჩები ფინალში გასასვლელად. ახლა სწორედ შესარჩევი თამაშების პერიოდია და ამერიკის, აფრიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების ნაკრები გუნდები იბრძვიან იმისათვის, რომ მიიღონ ვიზა ჩილეში გასამგზავრებლად. უკვე ფაქტი 16 უძლიერეს შორის მონაწილეობისა, ბევრ რამეს ნიშნავს. ჩილეში თამაში თავისთავად იძლევა დიდი ფეხბურთის პასპორტს.

16 ადგილი ფინალში. ესაა ფინალისტთა საერთო რაოდენობა, საიდანაც ვაკანტურია მხოლოდ 14, ორი დანარჩენი კი წინდაწინვე განკუთვნილია მსოფლიო ჩემპიონისა და გათამაშების მომწყობი ქვეყნისათვის. ამ ტრადიციის წინააღმდეგ ერთ დროს ცხარე დავა წარმოებდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, მაგრამ „ოპოზიციონერები“ ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნეს იმაში, რომ ისინი არ იყვნენ ამ საკითხში სწორი. მართალაც, რომელ ქვეყანაში გამოიჩენენ ინტერესს გათამაშებისადმი, თუ მათი გუნდი არ მონაწილეობს მასში, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონის გარეშე ბრძოლას ამ ტიტულისათვის არავითარი აზრი არ აქვს. ამიტომ ორივე ეს გუნდი ავტომატურად შედის ფინალში.

ამის გამო ვაკანსია გახსნილია 14 ადგილზე. აქედან 1962 წლისათვის უკვე დაკავებულია ოთხი. მესამე ფინალისტი გამოვლინდა XI ჯგუფში, სადაც მოხვედრილი იყვნენ არგენტინა და ეკვადორი. საეჭვო და სათუო აქ, რა თქმა უნდა, არაფერი იყო და არგენტინელებიც სავსებით იოლად გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეებს — 6:3, 5:0. მაგრამ XIII ჯგუფში ფიფა-ს დავთრებში ჩაიწერა პირველი მოულოდნელი შედეგი: კოლუმბიის ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხეს პერუს გუნდი, ხოლო ლიმაში „კბილებით“ გამოგლიჯეს მეტოქეს ფრე (1:1) და თავიანთი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდნენ ფინალში.

ასე, რომ ამჟამად თავისუფალია 12 ადგილი და აი სწორედ ამ 12 ადგილისათვის მიმდინარეობს უაღრესად დაძაბული ბრძოლა დიდ საფეხბურთო ასპარეზზე.

**I ჯგუფში** გამორკვეულია მხოლოდ ერთი რამ: ბელგიელებმა ზედიზედ მესამე მატჩი წააგეს და ახლა ალარავითარი შანსი არა აქვთ თავი დააღწიონ ბოლო ადგილს. ბრძოლა აქ იწარმოებს შვეციისა და შვეიცარიის გუნდებს შორის, მაგრამ მათ ერთმანეთს შორის ერთხელ უკვე ითამაშეს და შვედებმა სასტიკი დამარცხება მიაყენეს მოწინააღმდეგეს ანგარიშით 4:0. უშველის თუ არა გადამწყვეტ მატჩში შვეიცარიელებს მათი მწვრთნელის კ. რაპანის მიერ გამოგონილი „ზებეტონი“, ეს მეტად სათუო საკითხია. ახლა აქ ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 4 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 4 |
| ბელგია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

ჯერჯერობით კარგად აქვთ საქმე ფრანგებს **II ჯგუფში**. ფინეთის გუნდს რასაკვირველია, სათვალავში არავინ აგდებს. აქ მოსალოდნელი იყო დაძაბული ბრძოლა პირველობისათვის საფრანგეთისა და ბულგარეთის ფეხბურთელებს შორის, მაგრამ ეს პროგნოზი არ გამართლდა. სწორედ მაშინ, როცა საფრანგეთის გუნდი ერთგვარ კრიზისს განიცდიდა, ბულგარულებმა ძალზე სუსტად ითამაშეს პარიზში და ფრანგებმა მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 3:0. ფინალში გასვლის საკითხს გადაწყვეტს სარევანშო მატჩი, რომელიც 12 ნოემბერს შედგება სოფიაში.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

მიმომხილველთა საერთო აზრით ფინალისტის ვინაობა **III ჯგუფში** შეიძლება უკვე ჩაითვალოს გამორკვეულად. ეს ალბათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებია, რომელმაც თავის ძირითად კონკურენტს ჩრ. ირლანდიის გუნდს მოუგო მისივე მინდორზე (4:3) და წარმატებით გადაჭრა ეს მთავარი პრობლემა. გერმანელებს თავიანთ სტადიონზე გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებათ, ხოლო რაც შეეხება საბერძნეთის ფეხბურთელებს, მათი უეჭველი ხვედრი ბოლო ადგილია.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 |
| ჩრ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**IV ჯგუფის** ფავორიტია უნგრეთის ნაკრები. რთული და ხანგრძლივი რეკონსტრუქციის შემდეგ უნგრელთა გუნდი თანდათან უბრუნდება თავის ძველ ფორმას და სერიოზულ განაცხადს აკეთებს არა მარტო ფინალში გასვლისათვის, არამედ შემდგომი წარმატებითი ბრძოლისთვისაც. თითო გამარჯვება ამ ჯგუფში უნგრელთათვის უკვე სამისო სერიოზული გარანტიაა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 4 |
| გდრ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

**V ჯგუფში** გაერთიანებული არიან სსრ კავშირის, თურქეთისა და ნორვეგიის გუნდები. აქ სადღეისოდ ჩატარდა მხოლოდ ერთი შეხვედრა თურქეთისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა შორის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თურქებმა გამარჯვებას მიაღწიეს არა თავიანთ, არამედ მოწინააღმდეგის მინდორზე (1:0), შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგიელთა შანსები ერთობ მცირეა ფინალში გასვლისათვის. ბრძოლა ძირითადად იწარმოებს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის გუნდებს შორის.

ინგლისი და პორტუგალია, აი ეს ორი გუნდია გამარჯვების პრეტენდენტი **VI ჯგუფში**, ვინაიდან ლუქსემბურგის ფეხბურთელები მათ საგრძნობლად ჩამორჩებიან თამაშის კლასით. ეს ნათლად ჩანს მათი შედეგებიდანაც (ინგლისთან 0:9, პორტუგალიასთან 0:6). ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონკურენტთა მატჩს ლისაბონში. ინგლისელებმა ფრედ დაამთავრეს იგი (1:1) და ახლა სავსებით დაიმედებული არიან იმაში, რომ ლონდონში აიღებენ გადამწყვეტ 2 ქულას.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 9:1 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:15 | 0 |

აშკარად გაუღიმა ბედმა მსოფლიოს ყოფილ ორგზის ჩემპიონებს — იტალიელებს. ბოლო ორ გათამაშებაში ისინი ვერ მოხვდნენ ფინალში, ახლა კი მათმა მთავარმა მეტოქემ — რუმინეთმა ადრევე გაიტანა განაცხადი გათამაშებიდან. ეს დიდი შეღავათია იტალიის გუნდისათვის, რომელსაც ორი მატჩი აქვს სათამაშო ისრაელის ნაკრებთან და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვების მოპოვება აქ მათთვის ძნელი საქმე არაა.

**VIII ჯგუფში** მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: ჩეხოსლოვაკია, შოტლანდია, ირლანდია. პირველი ადგილის კანდიდატზე წინასწარ გარკვეული რამის თქმა ძნელი იყო, მაგრამ ჩეხოსლოვაკიისა და შოტლანდიის გუნდების ამასწინანდელმა შეხვედრამ ერთგვარი სიცხადე შეიტანა ამ საკითხში — ჩეხებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0. მე[ორე] [...]ტი თამაში ამ ქვეჯგუფში არ ჩატარებულა.

რთული საფეხბურთო[...]რივი სისტემით ჩატარდა [...] [...]ში. მაროკოსა და ტუნისის [...] [...]რაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა (2:1, 1:2, 1:1), ამიტომ დაინიშნა კენჭისყრა და თეთრი კენჭი მაროკოელებს ხვდათ წილად. ამასობაში განამ დაამარცხა ნიგერია (4:1, 2:2) და ორჯერ შეხვდა იღბლიანი კენჭის მფლობელს — მაროკოს. ორ მატჩში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა უპირატესობა მაროკოელებს მისცა, მაგრამ მათი წარმატება ალბათ ამით ამოიწურება, ვინაიდან ფინალში გასასვლელად მაროკოს ფეხბურთელები უნდა შეხვდნენ ესპანეთის ძლიერ გუნდს. ესპანელებს, რომლებმაც უკვე „გაუსწორეს ანგარიში“ უელსის გუნდს (2:1 1:1), კარგა ხანია არ უთამაშიათ ფინალში, ამიტომ ისინი არ გაუშვებენ ხელიდან ისეთ ხელსაყრელ მდგომარეობას, როგორიცაა მაროკოს ნაკრებთან თამაში.

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა მომდევნო ჯგუფში. აქ იუგოსლაველებმა ბელგრადში დაამარცხეს პოლონელები ანგარიშით 2:1 და ახლა ყველაფერი დამოკიდებულია განმეორებით მატჩზე, რომელიც ხოჟუვში შედგება 25 ივნისს, რაც შეეხება შემდგომ გათამაშებას, გამარჯვებული უნდა შეხვდეს სამხ. კორეის ან იაპონიის გუნდს. მათი კი არც იუგოსლაველებს ეშინიათ, არც პოლონელებს.

ჯერ არც ერთი მატჩი არ ჩატარებულა **XII ჯგუფში** ურუგვაისა და ბოლივიის გუნდებს შორის, სადაც მოსალოდნელია ურუგვაელთა გამარჯვება, მაგრამ სამაგიეროდ **XIV ჯგუფში** შექმნილი იყო სამი ქვეჯგუფი, სადაც მონაწილეობდნენ მექსიკის, აშშ-ს, კოსტა-რიკის, გონდურასის, გვატემალას, სურინამისა და სხვა ქვეყნების გუნდები. ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდების სპეციალურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს მექსიკელებმა, რომლებმაც კიდევ ერთი ეტაპი უნდა გაიარონ, რომ ფინალში გასვლის უფლება მიიღონ. მათი მოწინააღმდეგეა პარაგვაის გუნდი.

ასეთია მდგომარეობა შესარჩევ ჯგუფებში, სადაც წელს უნდა გამოირკვეს ფინალის ყველა მონაწილე.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ დარჩენილი შესარჩევი მატჩების კალენდარი, რომელიც დამტკიცებულია ფიფა-ს მიერ.

**ივნისი**

16. ფინეთი-ბულგარეთი. 18. სსრ კავშირი-თურქეთი. 25. პოლონეთი-იუგოსლავია.

**ივლისი**

1. სსრ კავშირი-ნორვეგია.

**აგვისტო**

23. ნორვეგია-სსრ კავშირი.

**სექტემბერი**

10. გდრ-უნგრეთი. 26. შოტლანდია-ჩეხოსლოვაკია. 27. საფრანგეთი-ფინეთი. 28. ინგლისი-ლუქსემბურგი.

**ოქტომბერი**

1. ჰოლანდია-გდრ. 4. ბელგია-შვეცია. 8. ირლანდია-ჩეხოსლოვაკია. 18. ჩრ. ირლანდია-საბერძნეთი. 21. გფრ-საბერძნეთი. 22. უნგრეთი-ჰოლანდია. 25. ინგლისი-პორტუგალია. 29. შვეიცარია-შვეცია, ჩეხოსლოვაკია-ირლანდია. ბულგარეთი-ფინეთი, თურქეთი-ნორვეგია.

**ნოემბერი**

12. თურქეთი-სსრ კავშირი, ბულგარეთი-საფრანგეთი.



1962

# ცენტრიდან 2 მ 51 სმ-ზე

ამ დღეებში მინსკის ცენტრალური აეროკლუბის პარაშუტისტებმა სპორტის ოსტატების მ. შაიპოვის, რ. კატროვსკის, ი. ვეჩერისა და ვ. ურბანოვიჩის შემადგენლობით 600 მეტრიდან ჯგუფურ კომბინირებულ ხტომაში დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი. აჩვენეს ცენტრიდან 2 მ 51 სმ საშუალო გადახრა.

# „დუკლა" — ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატი ფეხბურთში, წელს პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა პრაღის „დუკლას", ბრატისლავის „რუდა გვეზდასა" და „სლოვანს" შორის, სერიოზული მარცხი განიცადა შარშანდელმა ჩემპიონმა „სპარტაკმა" (გრადეც-კარლოვე), რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის წაგების შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას საპრიზო ადგილისათვის.

„დუკლამ" დასკვნით ტურებში შორს გაუსწრო თავის უახლოეს მეტოქეებს და იოლად მოიპოვა პირველი ადგილი. ამ გუნდს ჰყავს აგრესიული თავდასხმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბორვიჩკა (№ 9), შეუპოვარი დაცვა, სადაც თამაშობს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ნოვაკი (№ 4). საუცხოო ნახევარმცველები (პლუსკალი და მასოპუსტი). დღეისათვის „დუკლა" ეროვნული ნაკრების ბირთვს შეადგენს.

პირველი ლიგა დატოვეს „რუდა გვეზდამ" (ბრნო), „ედნოტამ" (ტრენჩინი) და „დინამომ" (პრაღა). ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონის „დინამოს" (ყოფილი „სლავია") ბოლო ადგილი, გათამაშების ყველაზე დიდ სენსაციას წარმოადგენდა.



თბილისის მოსწავლეთა და პიონერთა ცენტრალურ პარკთან ნაყოფიერად მუშაობენ სხვადასხვა სახეობათა სპორტული სექციები, რომლებშიც მრავალი ნორჩი ფიზკულტურელია გაერთიანებული.

**სურათზე:** ცურვის სექციის ხელმძღვანელი ნ. ნიორაძე მითითებას აძლევს ნორჩ სპორტსმენებს.

ფოტო გ. თარალაშვილისა

# მესამე მატჩის შემდეგ

9 ივნისს ვიტებსკში შედგა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდები: „კრ. ზნამია" (ვიტებსკი)-„დინამო" (ბათუმი).

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, ხოლო მეორე შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0. მაგრამ ეს ცნობა სწორი არ გამოდგა. შეცდომა აღმოჩნდა ტელეგრამაში. დამატებითი დროის მიუხედავად მეორე მატჩი დამთავრებულა აგრეთვე ფრედ — 1:1.

„კრ. ზნამია" და ბათუმის „დინამოს" მესამე [illegible] ნეთს. თამაშის დასაწყისი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათსავე სასარგებლოდ დამთავრდა 3:1. მეორე ტაიმში დინამოელებმა შესანიშნავად ითამაშეს, სრულ გარდატეხას მიაღწიეს თამაშში და ზედიზედ 5 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

მატჩი მოიგო ბათუმის „დინამომ" ანგარიშით — 6:3.

## არგენტინელთა დამარცხება

ევროპაში მყოფმა არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა 11 ივნისს მადრიდში ჩაატარა მატჩი ესპანეთის გუნდთან.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ დელ სოლმა (ესპანეთი) გახსნა ანგარიში, ხოლო მცირე ხანში დი სტეფანომ გაიტანა კიდევ ერთი გოლი.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ესპანელებმა.

# რუმინეთში გატარებული დღეები

როცა ჩვენმა მატარებელმა რუმინეთის მიწაზე განაგრძო ქროლვა, შევატყვეთ, რომ წვიმას აქ ალბათ მთელი თვეა არ გადაეღო, ამიტომ არც ბუქარესტში გაგვკვირვებია წვიმა, მაგრამ მასპინძელთა გულთბილ შეხვედრას მალე მზიანი დარებიც მოჰყვა.

— ეს თქვენ ჩამოგვიტანეთ სითბო, — გვეუბნებოდნენ სტუმართმოყვარე რუმინელები და მართლაც, ამ ქვეყნიდან ჩვენს გამომგზავრებამდე მზეს პირი ერთხელაც არ დაუბანია.

რუმინეთის სპორტული საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა ქართველ მოჭადრაკეებს. ადგილობრივი პრესა ფართო კომენტარებით შეეგება მატჩს. რუმინელებს კარგად ახსოვდათ დამარცხება თბილისში (14:18) და ბუნებრივია, სწყუროდათ რევანში. ამიტომ მათ გააძლიერეს თავიანთი გუნდი, თბილისელებისათვის უკვე ცნობილ მოჭადრაკეებს დ. დრიმერს, ტ. გიცესკუს, ბ. შოოშს დაუმატეს საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეები ვ. ჩოკილტეა და ჯ. მიტიტელუ, რომლებიც გასულ წელს თბილისში მატჩის დროს დაკავებული იყვნენ მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობით, რუმინელებმა ერთი „ეშმაკობაც" გააკეთეს. ჭაბუკის დაფასთან დასვეს რუმინეთის ჩემპიონი მოზრდილებს შორის 17 წლის ოსტატი ფ. გეორგიუ. ცხადია, რ. ჯინჯიხაშვილს ძალზე გაუჭირდა მასთან თამაში და არაფერია გასაკვირი, რომ 6 შეხვედრაში თბილისელმა პირველთანრიგოსანმა მხოლოდ 0,5 ქულა დააგროვა, ამან, სხვათაშორის, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო მატჩის საბოლოო შედეგზე.

ბუქარესტში, რუმინეთის მეფის ყოფილი სასახლის მეზობლად აღმართულია ძველი შენობა, რომელიც დღეს უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკადაა გადაქცეული. აი ამ ბიბლიოთეკის მყუდრო სალექციო დარბაზში, რომელიც ას კაცზეა გათვალისწინებული, გაიმართა რუმინეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა შეხვედრები. ვთამაშობდით საღამოს 5 საათიდან (თბილისის დროით 7 საათიდან), ხოლო გადადებულ პარტიებს ვამთავრებდით დილის 9 საათიდან. სასტუმრო „ამბასადორიდან", სადაც ვიყავით გაჩერებული, სათამაშო „მოედნამდე" სულ ხუთიოდე წუთის სავალი გზა გვქონდა.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა პირველი ტური. ყველას გვსურდა არ შეგვერცხვინა თავი და დიდი მონდომებით ვიბრძოდით.

პირველი დღის მოულოდნელობა იყო გაფრინდაშვილის დამარცხება პოლიქრონიადესთან. რუმინელები ტაშით შეეგებნენ თავიანთი ოსტატის გამარჯვებას. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ქართველ ოსტატს რუმინეთში საკმაოდ კარგად იცნობენ და იციან მისი ძალა. როგორც პარტია ცხადყოფს, რუმინელთა მწვრთნელს საგანგებოდ შეუსწავლია გაფრინდაშვილის თამაში და მოუმზადებია პოლიქრონიადე. მაგრამ შემდგომ ორ პარტიაში გაფრინდაშვილმა გასაქანი არ მისცა რუმინელ კოლეგას, რომელიც მასავით მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილეა. მეოთხე შეხვედრაში რუმინელებმა პოლიქრონიადე შეცვალეს საერთაშორისო ოსტატ ნიკოლაუთი. მაგრამ გაფრინდაშვილმა მასაც მოუგო.

შეხვედრა მოვიგეთ ანგარიშით 4,5:3,5, მაგრამ მეორე დღეს სასტიკი დამარცხება განვიცადეთ 2,5:5,5. მოვიკრიბეთ ძალღონე, გავითვალისწინეთ შეცდომები და მესამე შეხვედრაში უდიდესი მონდომებით ვითამაშეთ. ეტყობა, რუმინელები ამას მოელოდნენ და ვაჟების დაფაზე დასვენებული ძალა ჩართეს — მიტიტელუ. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 4:4 და ჩვენც სახიფათო მდგომარეობაში აღმოვჩნდით: მეოთხე შეხვედრას თუ ვერ მოვიგებდით 2 ქულის განსხვავებით, მატჩი აშკარად წაგებული გვექნებოდა.

მოხდა ისე, როგორც გვმავდა მწვრთნელი ვ. ქარსელაძე. პარტიები მოიგეს გაფრინდაშვილმა და კაკაბაძემ, ხოლო დანარჩენებმა შეხვედრები ყაიმით დავამთავრეთ. 5:3 — სასურველი შედეგი ნაჩვენები იქნა და ანგარიშიც გათანაბრდა — 16:16.

შეგვეძლო თუ არა მატჩის მოგება? ალბათ შეგვეძლო, მაგრამ გასათვალისწინებელია ორი გარემოება. პირველი, საზღვარგარეთ პირველად ვთამაშობდით და არ გვქონდა სათანადო გამოცდილება, მეორეც — მოჭადრაკე ქალებისაგან მეტს მოველოდით, თუმცა მათ ცუდად არ უთამაშიათ — 7 ქულა 12-დან. არ მოველოდით ჩაიკოვსკაიას ასეთ მარცხს — მან წააგო ორივე შეხვედრა,

დღისით სიამოვნებით ვეცნობოდით ბუქარესტს, რომელსაც 500 წლის ისტორია აქვს. დავათვალიერეთ რუმინეთის დედაქალაქის სპორტული ბაზები — 23 აგვისტოს სახელობის სტადიონი, საცურაო აუზი და კალათბურთის დახურული მოედანი. საღამოს მეგობრულად აღვნიშნეთ მ. ტოგონიძის „იუბილე".

დიდი სურვილი მქონდა შევხვედროდი გამოჩენილ რუმინელ მწერალს, ხალხთა შორის მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს მიხეილ სადოვიანუს, რომელიც თითქმის 25 წელს რედაქტორობდა რუმინულ საჭადრაკო ჟურნალს და პირადად იცნობდა სახელგანთქმულ ქართველ მოჭადრაკე ა. დადიანს. მინდოდა მენახა ცნობილი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში იოლანდა ბალაში. მაგრამ ვერც ერთი ვერ ვნახე. მ. სადოვიანუ ბუქარესტში არ იმყოფებოდა, ხოლო ი. ბალაში შეკრებაზე იყო სხვა ქალაქში. მაგრამ მას გადასცეს ჩემი თხოვნა მესაუბრა მასთან. იგი თურმე შეწუხდა და გამომიგზავნა თავისი ფოტოსურათი რეკორდის დამყარების დროს მისასალმებელი წარწერით ქართველი სპორტსმენებისადმი. ამ სურათს ვაქვეყნებთ გაზეთში.

ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან მატჩის შემდეგ პლოეშტში ამხანაგური შეხვედრის გასამართავად მიგვიწვია სპორტულმა კლუბმა „პეტროლულმა". პლოეშტი მენავთობეთა ქალაქია, ხოლო მისი სპორტული კლუბი რუმინეთში ერთ-ერთ უძლიერესადაა აღიარებული.

საინტერესოა, რომ თითქმის მთელი სპორტული მუშაობა პლოეშტში ამ კლუბის ხელშია. მას ჩამოყალიბებული აქვს სექციები სპორტის ყველა სახეობაში, გააჩნია საკუთარი ბაზები და თავისი სახელით მონაწილეობს რუმინეთის პირველობებში. „პეტროლულის" მოჭადრაკეთა გუნდი, როგორც გავიგეთ, ხშირად სჯაბნის ბუქარესტის ნაკრებს. ამ კლუბის გუნდში არიან რუმინეთის ოლიმპიური ნაკრების წევრები ფ. გეორგიუ, კ. რადოვიჩი, ჯ. მიტიტელუ, მ. პავლოვი, კ. პარტოში და სხვ.

ე. ი. ვეჯიბრებოდით ღირსეულ მეტოქეებს. პირველი შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩავატარეთ და მოვიგეთ ანგარიშით 5:3, ხოლო მეორე ყაიმით დავამთავრეთ.

პლოეშტში ოთხ დღეს დავრჩით. მატჩის შემდეგ გავეცანით კურორტ სინაის, რომელიც 60 კმ მოშორებით მდებარეობს კარპატების მთებში. როგორც შევიტყვეთ, აქ არსებობს რუმინელ სპორტსმენთა დასვენებისა და მზადების ძირითადი ბაზა. სინაის ბუნება და მდებარეობა ძალზე წააგავს ჩვენს ბაკურიანს.

სინაიში დავათვალიერეთ რუმინეთის მეფის კარლ I სასახლე, რომელიც ახლა მუზეუმადაა გადაქცეული. ვნახეთ კაზინოს ის შენობა, სადაც ბურჟუაზიული რუმინეთის დროს ჩამოდიოდნენ მილიონერები და სხვადასხვა ჯურის აფერისტები პარიზიდან, ლონდონიდან, რომიდან. ხშირი შემთხვევა ყოფილა, რომ წაგებული იქვე შენობის წინ იკლავდა თავს. ახლა კაზინოს შენობა კულტურის სასახლედაა გადაქცეული. აქ 1960 წელს მოეწყო ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი.

რუმინეთში ჩვენი შეხვედრები მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მასპინძლების ყურადღება ჭეშმარიტი გამოხატულება იყო საბჭოთა და რუმინელი ხალხების ძმური კავშირისა მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

— მომავალ შეხვედრამდე თბილისში, — გამოგვაცილეს რუმინელმა მოჭადრაკეებმა.

თ. ჩიორაძე

## ახალი რეკორდი

ქ. ალუშტაში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ძალოსანთა ნაკრების შეკრება.

აქვე ჩატარდა შეჯიბრება რეკორდების დასამყარებლად. საქართველოს „სპარტაკის" ნაკრები გუნდის წევრმა — სპორტის ოსტატმა რ. გალოიანმა საშუალო წონის ძალოსანთათვის ორი ხელით აკვრაში 162,5 კგ უჩვენა, რაც „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ახალი რეკორდია.

საქართველოსა და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ყოფილი რეკორდი უდრიდა 161 კგ, რომელიც აგრეთვე რ. გალოიანს ეკუთვნოდა.

ა. კორინთელი

რედაქტორი ი. უგულავა.




17-18 ივნისი

კალათბურთი

პოლონეთი - საქართველო

დასაწყისი 19 ს.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05568